გილოცავთ შობა-ახალ წელს!

ხაშურის მოამბე

№50 (131) 29 დეკემბერი, პარასკევი, 2017 წელი

გიორგი გურასპაშვილი: 2018 წელს სიხარული არ მოგკლებოდეთ და მუდამ უფლის წყალობა გქონოდეთ!

ჩვენს გაზეთში, უკვე ტრადიციად იქცა, რომ საახალწლო ნომერში მუნიციპალიტეტის პირველ პირს ვახვედრებთ მკითხველს. იგი, ერთგვარად, მეკვლის როლს ასრულებს და გვინდა, ფეხბედნიერი იყოს გაზეთისა და მისი მრავალრიცხოვანი მკითხველისათვის. ტრადიციას არც ამჯერად ვარღვევთ და გთავაზობთ ინტერვიუს მუნიციპალიტეტის მერთან **გიორგი გურასპაშვილთან.**

- ბატონო გიორგი, მოდით, მოკლედ შევაფასოთ უკვე განვლილი 2017წელი.

- მიუხედავად იმისა, რომ 2017 წელი არჩევნებით იყო დატვირთული, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს წელი წარმატებული იყო მუნიციპალიტეტისთვის. დაგეგმილი ინფრასტრუქტურული თუ სხვა სახის პროექტების აბსოლუტური უმრავლესობა შესრულდა, ის მცირე რაოდენობაც დამთავრების ფაზაშია. არ იყო იოლი წელი, მაგრამ მუნიციპალიტეტის თითოეულმა სამსახურმა თითქმის 24 საათიანი მუშაობის რეჟიმით შესძლო და ყველა დაგეგმილ პროექტს საბოლოო სახე მისცა. რამდენჯერმე შემოგვიტია სტიქიამ და, სამწუხაროდ, ზარალიც სოლიდური გვანახა, მაგრამ, საბედნიეროდ, შევძელით მასთან გამკლავება და ისიც კი მოვახერხეთ, რომ დაზარალებულ მოსახლეობაზე დახმარება გავცეთ. მოკლედ, ეს წელი აღმასვლისკენ წინგადადგმული ნაბიჯი იყო...

- რას ელით 2018 წლისგან?

(გაგრძელება II გვერდზე)

ძვირფასო ხაშურელებო!

აი, კიდევ ერთი წელი მიითვალა ჟამთა სვლამ. კიდევ ერთხელ დაისმის კითხვა: საით წავედით, სად ვიპოვოთ იმედი და ხსნა?

ერის მამა, წმიდა ილია მართალი, 130 წლის წინათ, 1887 წლის 31 დეკემბერს, ასე მიმართავდა თანამემამულეებს: „რა გითხრათ, რით გაგახაროთო“. გასახარი მართლაც არაფერი იყო; ქვეყანა უცხო ტომს ეპყრა, ხალხი ღატაკი და მშიერ-მწყურვალი ...

დიდი სიხარულის საფუძველი ალბათ არც დღეს გვაქვს. ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი კვლავ ოკუპირებულია, გვყავს საკუთარი ფუძიდან აყრილი და დევნილი თანამოქალაქენი, ხალხის გარკვეული ნაწილი სიღატაკის ზღვარზეა, და მაინც, ახალ წელს იმედით უნდა შევხვდეთ, რადგან რაღაც ახალი მოაქვს, იხსნება ახალი კარი, მაგრამ სანამ მას შევაღებდეთ, გავიხსენოთ, შევძელით კი ყველაფერ იმის გაკეთება, რაც გვევალებოდა?

ეს კითხვა, პირველ ყოვლისა, ხელისუფლების წარმომადგენლებს გვეხება და მერე თითოეულ მოქალაქეს, რადგან უფალმა ყველას თავისი ჯვარი დაუწესა საზიდად.

დამერწმუნეთ, ბევრი კეთდება, ბევრად მეტი გაკეთდება ხალხმა ღირსეულად რომ იცხოვროს, მაგრამ ესეც ვთქვათ, ხვალ ყველა ჩვენგანს უზრუნველი ცხოვრება რომ დაგვიდგეს, ვიქნებით ბედნიერნი?

ეს კითხვა ოდითგანვე აწუხებდა კაცობრიობას. ღამეები უთენებიათ მსოფლიო მოაზროვნეებს მასზე პასუხის გასაცემად და ეს პასუხი საბოლოოდ ასე ჩამოყალიბდა: ღვთისადმი სიყვარული, სათნოება, სიქველე, ერთგულება სიკეთისადმი, სიმართლისადმი, ერისა და ოჯახისადმი - აი, ადამიანის სრულყოფილებისა და მისი ბედნიერების ერთ-ერთი მთავარი, აუცილებელი პირობა.

დიახ, ვინა ვართ და რანი ვართ? მხოლოდ ამ კითხვების პასუხი გვიჩვენებს, რა არის ნამდვილი ბედნიერება.

ჩვენი დიდი წინაპარი ნიკოლოზ ბარათაშვილი როგორც გვეუბნება, როცა სამშობლოს ცაზე შავი ღრუბელი ჩამოწოლილა და ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი დამდგარა, მეორე დიდ წინაპარს, მეფე ერეკლეს, ასე მიუმართავს ქართველ მხედართათვის:

„ღღეს მეცა თქვენში ვარ მეომარი, ვითა თქვენგანი ერთი მხედარი.“

ღრუბელი დღესაც არ გაფანტულა სამშობლოს ცაზე; ღრუბელი, რომელსაც დროებით დაკარგული ტერიტორიების ტკივილი ჰქვია, ღრუბელი ეკონომიკური სიდუხჭირისა და ამიტომ წინ დიდი ბრძოლა და შრომა გველის.

მერწმუნეთ, ამ ბრძოლასა და შრომაში მე თქვენ შორის ერთი რიგით მებრძოლი ვიქნები და ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ.

შობა-ახალ წელს გილოცავთ!

უფალი გფარავდეთ!

პატივისცემით **სიმონ ნოზაძე**

ძვირფასო მეგობრებო!

გილოცავთ შობა-ახალი წლის დღესასწაულს! მშვიდობის, სიკეთისა და სიყვარულის მომტანი ყოფილიყოს 2018 წელი თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის!

გასული 2017 წელი მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნის ყველა ქალაქისა და მუნიციპალიტეტისათვის არჩევანის თვალსაზრისით, რომელმაც საზოგადოებას უკეთესი ცხოვრების პირობები უნდა მისცეს. ხალხმა კიდევ ერთხელ გააკეთა სწორი არჩევანი, რაც პასუხისმგებლობა და სტიმულია ჩვენთვის, რომ გავაუმჯობესოთ წინა წლების მიღწევები და წამოვიწყოთ ახალი პროექტები ჩვენი თანამოქალაქეების კეთილდღეობისა და წინსვლისათვის. მე ზუსტად ვიცი, რომ ჩვენ აუცილებლად ვიამაყებთ ერთად გაკეთებული კარგი საქმეებითა და მიღწეული შედეგებით.

გისურვებთ ჯანმრთელობას, მშვიდობასა და დღეგრძელობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ!

უფალი გფარავდეთ თქვენ, თქვენს ოჯახებსა და მთელ საქართველოს!

პატივისცემით, საკრებულოს თავმჯდომარე **მიხეილ ჯანაშვილი**

გიორგი გურასპაშვილი: 2018 წელს სიხარული არ მოგკლებოდეთ და მუდამ უფლის წყალობა გქონოდეთ!

(დასასრული)

- პრიორიტეტები უკვე განსაზღვრულია და მათი საერთო რიცხვი საკმაოდ ტევადია. ეს არის სოფლების მისასვლელი გზების მოწესრიგება, ასევე ხაშურში და სურამში მთელი რიგი გზების მოასფალტება, ხაშურის წყალმომარაგების სისტემის სამუშაოების დაწყება, სანიაღვრეების მოწყობა და სხვა. 2018 წლის ბიუჯეტში დაწვრილებითაა აღწერილი თითოეული დაგეგმილი პროექტი და ნებისმიერ დაინტერესებულ მოქალაქეს შეუძლია მისი ნახვა. ამას თუ დავუმატებთ იმ ფაქტს, რომ ძალიან გააქტიურდა კერძო სექტორი და იგეგმება სხვადასხვა სახის მშენებლობები, მათ შორის საწარმოების, ვფიქრობთ, რომ წარმატებული წელი უნდა იყოს.

- არჩევნებმა აჩვენა, რომ მოსახლეობის დიდი პროცენტი კმაყოფილია მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების თუ სამსახურების მუშაობით და ეს ხმებითაც დასტურდება...

- ჩვენ უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობთ ჩვენი ამომრჩევლების, მოსახლეობის წინაშე, ვიცით, რომ იმ ნდობას, რაც მათ გამოგვიცხადეს, გამართლება უნდა და თავს არ დავზოგავთ, რომ ეს ნდობა გავამართლოთ...

- დღეს მთავრობის დონეზე დიდი საუბრებია საბიუჯეტო სამსახურების ოპტიმიზაციაზე. ჩვენთან თუ იგეგმება მსგავსი რამ?

- აუცილებლად! იანვრიდან დაიწყება მთელი რიგი სტრუქტურული ცვლილებები, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მაინც-დამაინც ადამიანური რესურსის ხარჯზე მოხდება ოპტიმიზაცია თუ რეორგანიზაცია.

- კარგით, მოდით, პოლიტიკას თავი დავანებოთ და უფრო „მსუბუქ“ თემებზე გადავიდეთ. ასტროლოგიის თუ გჯერათ?

- მჯერა ძალიან ხმამაღალი სიტყვა გამომივა, თუმცა, ასე თუ ისე, ვეცნობი ხოლმე...

- წელს ძაღლის წელი მოდის, თქვენ კი კატის წელში ხართ დაბადებული ძაღლი და კატა მოგეხსენებათ...

- (იცინის) ჰო, მაგაზე არ დავფიქრებულვარ. რას ვიზამთ, კატების ხვედრი ასეთია, აქამდე ვუძლებდით ძაღლების შემოტევას და არც ახლა დავიხევთ უკან...

- თვის ნიშანი კუროა და გიწერიათ, რომ ამ წელს სასურველია მრისხანება ჩააცხროთ... ხშირად გიწევთ განრისხება?

- კარგი მენეჯერი, ვფიქრობ, განრისხების გარეშე უნდა მართავდეს სიტუაციას, თუმცა, ჩვენ ჩვეულებრივი ადამიანები ვართ და შეიძლება ემოციამ მართლაც მიგიყვანოს „ზედმეტ სიმაღლეზე“. ყველანაირად ვცდილობ ეს არ მოხდეს და, ვფიქრობ, გამომდის კიდეც.

- თქვენი ყოველდღიური რეჟიმი...

- ყოველი სამუშაო დღე იწყება 9 საათზე და მთავრდება გვიან ღამით. დასვენების დღეები ძალიან პირობითი ცნებაა და, შეიძლება ითქვას, პრაქტიკულად არ არსებობს.

- ჩვენ ვიცით, როგორი მმართველია მუნიციპალიტეტის მერი. როგორი მოსწავლე იყო იგი სკოლაში?

- კარგი.

- საყვარელი საგანი?

- მათემატიკა და ალბათ ისტორიაც...

- შეიძლება შევამოწმოთ თქვენი სასკოლო ცოდნა?

- შეიძლება და მეც მაინტერესებს.

- ქართამი, თრდატი, მირდატი, მირი, რევი... შეგიძლია გააგრძელო ეს სია?

- ვახტანგი, მირიანი, ბაქარი, დაჩი, ადარნასე და ასე შემდეგ. ესენი ფარნავაზიანთა დინასტიის ქართლის მეფეები იყვნენ.

- მსოფლიოში ყველაზე ძველი სამეფო დინასტია იაპონიაშია, დაასახელეთ რიგით მეორე.

- ბაგრატიონები.

- საქართველოს ისტორიაში - ფრიადი, მოდი „უცხოურიც“ ვნახოთ: შუა საუკუნეების კათოლიკურ ტაძრებში იყო „გამღვიძებლის“ პროფესია, მათ მოვალეობას შეადგენდა გაეღვიძებინა ის ბერები, რომლებსაც შუაღამის წირვის დროს ჩაეძინებოდათ. სხვათაშორის, ეს ჩაძინებული ბერები ისჯებოდნენ. როგორ?

- თვითონ ხვდებოდნენ „გამღვიძებლები“, ვიდრე ახალ ჩაძინებულს არ ნახავდნენ...

- კარგით, დამაჯერეთ! განვაგრძოთ ინტერვიუ. ყველაზე მეტად რას ვერ იტანთ?

- მატყუარა და უპასუხისმგებლო ადამიანებს და უმადურობას.

- რამდენი წლის იყავით, როდესაც თქვენთვის თოვლის ბაბუის ზღაპარი დამთავრდა?

- ეჰ, ყველას სურვილია, რომ ეს ზღაპარი არასოდეს მთავრდებოდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, რეალობა სხვაა. ალბათ, მე-2-მე-3 კლასში ვიყავი.

- თქვენს პატარას თუ სჯერა თოვლის ბაბუის?

- არა, უკვე თოვლის მამის უფრო სჯერა (იცინის)...

- საახალწლო ტრადიცია ოჯახში.

- ჩვეულებრივი, რიგითი ქართველის ტრადიციაა - გოზინაყით და საახალწლო სუფრით.

- რით ილოცებით?

- აუცილებლად ღვინით.

- ყიდულობთ?

- არა, საკუთარი მაქვს და თვითონ ვწურავ.

- მეკვლის ინსტიტუტის თუ გჯერათ?

-დიახ, მჯერა და ჩემი ოჯახი იცავს ამ ტრადიციას.

- ვინ გყავდათ შარშან მეკვლედ?

- ჩემი დისშვილი მარიამი.

- თუ არჩევნების შედეგებს და მუნიციპალიტეტის მიღწეულ წარმატებებს გავითვალისწინებთ, არ ყოფილა ცუდი მეკვლე.

- კი, ასეა! საერთოდ მიმაჩნია, რომ ნებისმიერი ბავშვის სახით ანგელოზი შედის ოჯახში და როგორ შეიძლება რადაც წარუმატებლობა, იქნება ეს პოლიტიკაში თუ პირად ცხოვრებაში, მის ფეხს დავაბრალოთ? ამ წარუმატებლობის მიზეზი საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ და არა მეკვლის ფეხში.

- ორი ნივთი, რომლის გარეშეც სახლიდან არ გამოდიხართ...

- მანქანის გასაღები და მობილური ტელეფონი.

- აზარტული თუ ხართ?

- აზარტული თამაშები აბსოლუტურად არაა ჩემი სფერო და არც მაინტერესებს. ისე, ალბათ, ნებისმიერ ადამიანშია აზარტი რადაც დოზით. ვფიქრობ, პოლიტიკაც აზარტია გარკვეული კუთხით.

- ვოცნებობ, რომ ...

- ქართველ კაცში რაც ძალიან ჭარბადაა, ეს ოცნებებია. პირველ რიგში, ჩემი სამშობლოს წარმატებებზე ვოცნებობ, რადგან მიმაჩნია, რომ თუ ქვეყანა წარმატებულია, მოსახლეობას და თითოეულ ოჯახს კეთილდღეობა არ აკლია.

- დაბოლოს, რას ეტყოდით დამდეგ ახალ წელს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას?

- 2018 წელს სიხარული და მზეგრძელობა დაგბედებოდეთ. სიმშვიდე, ხვავი და ბარაქა თქვენს ოჯახებს. სიხარული არ მოგკლებოდეთ და მუდამ უფლის წყალობა გქონოდეთ...

გ. გოგოლაძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია
მერის გრძანება

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის თანამდებობაზე ზვიად ქურდაძის დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №37 დადგენილების „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №47 დადგენილების საფუძველზე და ზვიად ქურდაძის 2017 წლის 11 დეკემბრის №5986 განცხადების შესაბამისად

ვბრძანებ:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილედ დაინიშნოს ზვიად ქურდაძე 2017 წლის 11 დეკემბრიდან;
2. ბრძანება ეცნობოს: ზვიად ქურდაძეს;
3. ბრძანება ეცნობოს: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო და ადმინისტრაციულ სამსახურებს;
4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ დადგენილი წესით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. №15), მისი გაცნობიდან ერთი თვიუს ვადაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი

ზვიად ქურდაძე

დაიბადა 1977 წლის 9 სექტემბერს, ხაშურში. 1994 წელს დაამთავრა ხაშურის მე-2 საშუალო სკოლა, 1999 წელს კი - გორის ჰუმანიტარული ინსტიტუტი, მიიღო ეკონომისტის სპეციალობა.

2001-2010 წლებში მუშაობდა ხაშურის ზონალურ საგადასახადო ინსპექციაში ინსპექტორად, შემდეგ კი - გადასახადების ადმინისტრირების სამმართველოს გორის საგადასახადო ინსპექციის მთავარ ინსპექტორად.

2010-2012 წლებში იყო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შიდა ქართლის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, 2012 წლიდან 2017 წლის დეკემბრამდე კი - სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლისა და მცხეთა-თიანეთის მომსახურების ცენტრის მთავარი სპეციალისტი.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

რას გვიმზადებენ ვარსკვლავები

- ჰოროსკოპი -

ახალი 2018 წელი თანდათან ახლოვდება. როგორც ასტროლოგები წერენ, ამ წელს იუპიტერისა და სატურნის ურთიერთგანლაგება იქნება ჰარმონიული, რაც ზოგადად, ადამიანებს ფინანსურ წარმატებას ჰპირდება, გაჩნდება უფრო მეტი შესაძლებლობა და საერთო ჯამში, პოზიტიურ წელს უნდა ველოდოთ.

ვერძი - თქვენგან წელს ვარსკვლავები უფრო მეტ შრომას მოითხოვენ. გაჩნდება ახალი შესაძლებლობები და ასევე შეიძლება მცირე უსიამოვნებაც შეგემთხვეთ, რომელიც თქვენთვის ცხოვრების მასწავლებელი აღმოჩნდება. კარიერული წინსვლა მოსალოდნელი არ არის და შემოსავალიც დიდად არ გაიზრდება, მაგრამ დამაკმაყოფილებელი იქნება. შესაძლოა, უსიამოვნებები მოხდეს ოჯახ-ფრონტზე, თუმცა საგანგაშო არაფერია.

მარტიდან ივლისამდე ფრთხილად უნდა იყოთ ფინანსებთან დაკავშირებით და მხარჯველობა არ უნდა გამოიჩინოთ, თორემ შესაძლოა კონტროლი დაკარგოთ. ამ პერიოდში ასევე მოერიდეთ უცხოელებთან ურთიერთობას და უცხო ქვეყნებში წასვლას. ახალი საქმე არ წამოიწყოთ 2018 წლის აპრილიდან სექტემბრის ჩათვლით.

კურო - აუცილებლად ჩააცხრეთ თქვენი რისხვა, ეს ვერაფერს მოგიტანთ. ფრთხილად იყავით, განსაკუთრებით, სასიყვარულო ურთიერთობების დროს. ემოციების უმართაობამ, შესაძლოა, ურთიერთობის დანგრევა გამოიწვიოს. კარიერული თვალსაზრისით წარმატება გელოდებათ, მაგრამ სამსახურის შეცვლაზე მარტიდან ივლისამდე პერიოდში არ იფიქროთ. ამ პერიოდში უმჯობესია იმ სამსახურს გაუფრთხილდეთ, რომელიც გაქვთ და წარმატების მიღწევაზე მოახდინოთ კონცენტრირება.

მაისის შემდეგ პოზიტიურად შეიცვლება თქვენი სასიყვარულო ურთიერთობები და თუ დაქორწინებული ხართ, ქორწინება უფრო მყარი გახდება. 2018 წლის ბოლოსკენ თუ დაინტერესდებით უცხოეთში სამსახურის მიღებით, თქვენი ნაბიჯები აუცილებლად წარმატების მომტანი იქნება.

ტყუპები - წარმატებით განახორციელებთ ახალ ბიზნესიდეებს და მოგეცემათ ახალი შესაძლებლობები. მაისიდან ნოემბრამდე პერიოდში თქვენი მტრები განსაკუთრებით აქტიურები ხდებიან, ამიტომ ამ დროს სიფრთხილე გამოიჩინეთ და ყურადღებით გადადგით თითოეული ნაბიჯი. არის შესაძლებლობა მცირე ავამდყოფობისა და მოულოდნელი შემთხვევით დაზიანების მიღების.

2018 წელს განსაკუთრებით ენერგიულები და აქტიურები იქნებით. ფრთხილად იყავით ფულის გასესხებისას, შეიძლება ამ დროს გასესხებული ფული უკან არასოდეს დაგიბრუნონ, ამიტომ დიდ თანხას ნურავის ასესხებთ. 2018 წლის ოქტომბრის შემდეგ შესანიშნავი პერიოდი გაქვთ ქორწინებისთვის.

კირჩხიბი - თქვენთვის 2018 წელი დაბნეულობისა და გაურკვევლობის წელი იქნება. შესაძლოა შეგაწუხოთ სტრესმა და დეპრესიამ, მაგრამ ოპტიმისტურ განწყობას თუ შეინარჩუნებთ, ცხოვრება ასეთი რთული აღარ იქნება. შესაძლებლობა მოულოდნელად გამოგიჩნდებათ და ყოველივე გრძელვადიან პერსპექტივაში ბევრ ფულს მოგიტანთ.

თქვენი შემოსავალი შესაძლოა წელს გაიზარდოს უძრავი ქონების გაქირავებით მიღებული შემოსავლით, ასევე წარმატებას მიაღწევთ, თუ სავაჭრო სფეროში დასაქმდებით. მოსალოდნელია, რომ საინტერესო ბიზნეს-წინადადება მიიღოთ. ეცადეთ დააბალანსოთ სამსახური და პირადი ურთიერთობები, თუ ასე ვერ მოიქცევით, დიდი ალბათობით 2018 წელი პირად ცხოვრებაში წარუმატებელი გექნებათ.

ლომი - ეს წელი მოგფსიქოლოგიურად არ მიაქციოთ ლებიც იტანთ უფრო მეტ თავდაჯერებულობას, უფრო მდგრადები გახდებით. გირჩევთ, ყურადღება ნეგატიურ ადამიანებს, რომცდილობენ ცხოვრება მოგიწამლონ, ისინი უბრალოდ უგულებელყავით. თუ რაიმე დავა გაქვთ სასამართლოში, ან დავის წამოწყებას აპირებთ, 2018 წელი თქვენთვის ყველაზე ხელსაყრელია, აუცილებლად მოიპოვებთ გამარჯვებას.

თუ რაიმე ბიზნესით ხართ დაკავებული, განსაკუთრებული წარმატება არ გელოდებათ, თუმცა არც დამარცხდებით, თქვენი საქმე ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდება. გირჩევთ იმოგზაუროთ მაისიდან ივლისამდე პერიოდში. შესანიშნავი წელია იმისთვის, რომ ახალი სახლი შეიძინოთ. 2018 წელს განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს თქვენი ჯანმრთელობა.

ქალწული - 2018 წელს თქვენი ყველაზე ძლიერი მხარე კომუნიკაციის უნარი და ინტელექტი იქნება და თუ ამ უნარების გამოყენებას აქამდე სათანადოდ ვერ ახერხებდით, ეს წელი ყველანაირ შესაძლებლობას მოგცემთ თავის წარმოსაჩენად. იგრძნობთ ენერგიის მოზღვავებას.

შეიძლება საქმეში მცირე დაბრკოლებები შეგექმნათ მაისიდან ნოემბრამდე პერიოდში. წელს სახლის შეძენას თავი აარიდეთ. ბიზნესში ყველას ნუ ენდობით. 2018 თქვენთვის კარგი წელია ქორწინებისთვის და სასიყვარულო ურთიერთობის გამყარებისთვის. თუ დაქორწინდებით, ეს ყველაზე მყარი ქორწინება იქნება.

სასწორი - წელს პრიორიტეტად კარიერა აქციეთ და ყურადღება მიაქციეთ, რომ კავშირები უფრო გაზარდოთ. არ გასცეთ ისეთი დაპირებები, რომლებსაც ვერ შეასრულებთ, თორემ ძალიან ცუდად შემოგიბრუნდებათ.

მაისიდან ნოემბრამდე პერიოდი არც ისე პოზიტიურია ოჯახური და სასიყვარულო ურთიერთობების თვალსაზრისით. რაც შეეხება კარიერას, ყველაზე რთული ეტაპია მარტიდან ივლისამდე. ამ დროს მოერიდეთ გადაწყვეტილებების ნაჩქარევად მიღებას.

მორიელი - საერთო ჯამში, კარგი წელი გელოდებათ. მთავარია, ზუსტად იცოდეთ რა საქმისკენ მიმართოთ ენერგია. თქვენი ტემპერამენტი დაგეხმარებათ, რომ წარუმატებელი საქმე წარმატებულად აქციოთ. განსაკუთრებით გამბედავები იქნებით მაისიდან ნოემბრამდე პერიოდში.

უცხოეთთან კავშირების დასამყარებლად, სამოგზაუროდ კარგია მარტიდან ივლისამდე პერიოდი. თუ დაქორწინებული არ ხართ, გირჩევთ აგვისტოში დაქორწინდეთ. ამ შემთხვევაში ქორწინება წარმატებული იქნება.

მშვილდოსანი - 2018 წელს თქვენ გახდებით სერიოზული და ორგანიზებული ადამიანი. შედარებით არასტაბილური პერიოდი გაქვთ აპრილიდან სექტემბრამდე. ამ დროს თავი აარიდეთ რაიმე რადიკალური ნაბიჯის გადადგმას. ეს არის კარგი წელი იმისთვის, რომ რაღაც ახალი დაიწყოთ და საკუთარი ძალები განსხვავებულ ამპლუაში მოსინჯოთ. კარიერული თვალსაზრისით სერიოზული წარმატება გელოდებათ და მნიშვნელოვნად გაიზრდება შემოსავალი, მაგრამ ამისთვის, სერიოზულ კონკურენციასთან გამკლავება და გამოწვევების მიღება მოგიწვეთ.

მარტიდან ივლისამდე ფულთან დაკავშირებით უფრო მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ. მოსალოდნელია, რომ ოქტომბრიდან თქვენი ქონება მნიშვნელოვნად გაიზრდება. მშვილდოსნებს შესანიშნავი წელი გელოდებათ სასიყვარულო ურთიერთობების თვალსაზრისითაც.

თხის რქა - თქვენი შესაძლებლობები 2018 წელს ცოტა სუსტდება, თუმცა შეინარჩუნეთ სიმშვიდე და არ დანებდეთ. წარუმატებლობა გელოდებათ კარიერული კუთხით მარტიდან ივლისამდე. თავი აარიდეთ წელს სამსახურის ცვლილებას, ეს აუცილებლად წარუმატებელი იქნება.

მოერიდეთ ახალი ბიზნეს-კავშირების დამყარებას. ასევე მოერიდეთ სასიყვარულო ურთიერთობებში კონფლიქტებს. სცადეთ, შეინარჩუნოთ ის მდგომარეობა, რომელიც ახლა გაქვთ. ახალი შესაძლებლობები მხოლოდ 2018 წლის მიწურულს გაჩნდება.

მერწყული - 2018 წელი ფინანსურად წარმატებას მოგიტანთ. ამ წელს აუცილებლად მიიღებთ იმ აღიარებას, რასაც ამდენი ხანია ელოდით. ადამიანები დააფასებენ თქვენს უნიკალურობას. ნუ შეგეშინდებათ ზოგ შემთხვევაში კომპრომისზე წასვლის.

საბოლოო ჯამში, ეს თქვენთვისვე გამოიღებს სასიკეთო შედეგს. ეცადეთ დაამყაროთ ახალი კავშირები. ხასიათის სწრაფად ცვლილებამ, შესაძლოა, ნეგატიური გავლენა მოახდინოს სასიყვარულო ურთიერთობაზე. ეცადეთ, ცხოვრების ყველა ფლანგზე დიპლომატია გამოიჩინოთ.

თევზები - 2018 წელი საკუთარი თავისადმი კმაყოფილების განცდას მოგიტანთ. შესაძლოა სამსახურში ზოგიერთი საქმე მართვის სადავეებიდან გაგეცეთ და სტრესულ სიტუაციაში აღმოჩნდეთ, მაგრამ საბოლოო ჯამში, ყველაფრის მოგვარებას შეძლებთ.

სტაბილურობა კარიერული კუთხით ოქტომბრის შემდეგ გელოდებათ. აუცილებლად გამოიჩინეთ ყველა მიმართულებით მოთმინების დიდი უნარი. შესაძლოა, საქმეში სასურველი შედეგი ვერ მიიღოთ აპრილიდან ოქტომბრამდე, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ დანებდეთ. მოთმინება და მოთმინება, წლის ბოლოს კი, შედეგით კმაყოფილი იქნებით.

რას გვირჩევენ ვარსკვლავები

- ჰოროსკოპი -

* ვირთხა, 1912, 1924, 1936, 1948, 1960, 1972, 1984, 1996, 2008
წლის ფერი-თილისმა - თეთრი, მოყვითალო-მწვანე, ზურმუხტისფერი.

ენდეთ საკუთარ ინტუიციას, რათა დაიცვათ თავი სერიოზული შცდომებისგან. დაასრულეთ წლების მანძილზე გადადებული საქმეები და წამოიწყეთ ახალი პროექტები, რომლებიც მნიშვნელოვნად გააფართოვებენ თქვენს კავშირებს და გააუმჯობესებენ მატერიალურ მდგომარეობას. მთავარი სიურპრიზი კი, ძველ ნაცნობებთან ურთიერთობის აღდგენა იქნება.

* ხარი, 1913, 1925, 1937, 1949, 1961, 1973, 1985, 1997, 2009
წლის ფერი-თილისმა - მწვანე, წითელი

ნებისმიერ სიტუაციაში გამოიყენეთ ახლობლების დახმარება, რათა არ მოგიწიოთ პრობლემურ საკითხების დამოუკიდებლად გადაჭრა. მიიღეთ გადაწყვეტილება ლოგიკაზე და არა ემოციებზე დაყრდნობით. მოერიდეთ კონფლიქტებს, განსაკუთრებით იურიდიულ საქმის გაჩენას. ნუ დაიღლებით უინტერესო ადამიანებთან ურთიერთობით, თუ მიხვდით, რომ ფუჭად კარგავთ დროს და ძალას, უკეთესია საერთოდ შეწყვიტოთ მათთან ურთიერთობა.

* ვეფხვი, 1914, 1926, 1938, 1950, 1962, 1974, 1986, 1998, 2010
წლის ფერი-თილისმა - თეთრი, ღია ნაცრისფერი, ფირუზისფერი

საკმაოდ წარმატებული წელია. შეძლებთ შეიცვალოთ შინაგანად და გარეგნულად, პოზიტიური ცვლილებებია მოსალოდნელი პირად ცხოვრებაშიც, გაგიჩნდებათ სურვილი, მეტად ენდოთ და ახლებურად ააწყოთ ურთიერთობა პარტნიორთან. იმ შემთხვევაში, თუ მარტო ხართ, ელოდეთ ახალი ადამიანის გამოჩენას მაისის თვეში.

* კურდღელი ან კატა, 1915, 1927, 1939, 1951, 1963, 1975, 1987, 1999, 2011
წლის ფერი-თილისმა - ფირუზისფერი, წითელი

სრულდება ემოციონალური განვითარების მორიგი ციკლი, ამიტომ გრძნობებიც სულ უფრო მძაფრი და ინტენსიური იქნება, გაგიმარტივდებათ იმ ადამიანების გამოყოფა, ვისთანაც ურთიერთობა აღარ გაინტერესებთ. შეიტანეთ კორექტივები საკუთარ სოციალურ წრეში, თამამად განაცხადეთ საკუთარ უფლებებსა და მოთხოვნილებებზე. მიღებული თანხა, პირველ რიგში, ცოდნის შესაძენად გამოიყენეთ, სერიოზულად დაფიქრდით ურთიერთობაზე პარტნიორთან, რაც განსაკუთრებით აქტუალური წლის ბოლოს გახდება. საუკეთესო პერიოდი – მაისიდან ივლისის ჩათვლით.

* დრაკონი, 1916, 1928, 1940, 1952, 1964, 1976, 1988, 2000, 2012
წლის ფერი-თილისმა - თეთრი, ოქროსფერი

აქტიური საქმიანობა დროებითი პასიურობით შეიცვლება, შეეცადეთ მშვიდად მიიღოთ „უსაქმურობა“ და პაუზა ძალების აღსადგენად გამოიყენოთ. დაეყრდენით საკუთარ ინტუიციას, თუმცა ნუ იტყვით უარს გამოცდილი ადამიანების რჩევის გათვალისწინებაზე. არაა გამორიცხული, აჰყვეთ ემოციებს და საკმაოდ სერიოზული შეცდომები დაუშვათ ზაფხულში. გაზაფხული და ზაფხული – ოპტიმალური პერიოდია ახალი რომანის დასაწყებად, შესაძლოა, საქმიანი ურთიერთობაც რომანტიკულ თავგადასავალში გადაიზარდოს.

* გველი, 1917, 1929, 1941, 1953, 1965, 1977, 1989, 2001, 2013
წლის ფერი-თილისმა - ფირუზისფერი, აკვამარინი

წელიწადი ახალი ნაცნობობის, გეგმებისა და იდეების მომტანი იქნება. სრულ თავისუფლებას მიიღებთ საქმეებში და პირად ცხოვრებაში. ენერგიისა და ჯანმრთელობის დასაზოგად სწორად განსაზღვრეთ პრიორიტეტები და აუცილებლად დაისვენეთ ზაფხულში, რადგან ფიზიკური და ემოციონალური დაღლილობა თავისუფლად შეიძლება გახდეს ფინანსური დანაკარგების მიზეზი. მთავარი სიახლე სასიყვარულო პარტნიორთან ურთიერთობის ახალ ეტაპზე გატანა იქნება.

* ცხენი, 1918, 1930, 1942, 1954, 1966, 1978, 1990, 2002, 2014
წლის ფერი-თილისმა - თეთრი, ცისფერი, მწვანე

დამდეგი წელი გაიძულებთ მაქსიმალურად გამოიყენოთ საუკეთესო თვისებები – ოპტიმიზმი, თვითრწმენა, რისკისა და ლოგიკის შეთავსების უნარი. ეცადეთ მშვიდად მიიღოთ ყველა მარცხი, ნუ გაღიზიანდებით, თუ სწრაფად ვერ მიიღებთ სასურველს. ახალი პროექტების რეალიზებისას ყურადღება გაამახვილეთ მენეჯმენტზე და არა კრეატივზე. თუ მეწყვილეს ან ახალ რომატიკულ თავგადასავლებს ეძებთ, ჯერ ძველი დაასრულეთ, მერე კი, იქ გაატარეთ შვებულება, სადაც არასდროს ყოფილხართ.

* თხა, 1919, 1931, 1943, 1955, 1967, 1979, 1991, 2003, 2015
წლის ფერი-თილისმა - თეთრი, ინდიგო

სტაბილური ფინანსური და ოჯახური მდგომარეობა! – სწორედ ეს გახდება ახალ წელს თქვენი მთავარი სლოგანი. ოპტიმალური პერიოდი მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად – ინვრიდან მაისის ჩათვლით, ზაფხულში კი, დაისვენეთ და ეცადეთ არ დააგროვოთ საქმეები, რადგან არაა გამორიცხული გადაიღალოთ და საერთოდ ვერაფერი ვერ გააკეთოთ. ოქტომბერი და ნოემბერი ყველაზე რთული პერიოდი იქნება, ივნისი და დეკემბერი კი – ყველაზე საიმედო.

* მაიმუნი, 1908, 1920, 1932, 1944, 1956, 1968, 1980, 1992, 2004, 2016
წლის ფერი-თილისმა - ნარინჯისფერ-წითელი, ყავისფერი

მაისის ჩათვლით საკმაოდ ოპტიმისტური განწყობა გექნებათ, რაც ზაფხულში ახალი პროექტების დაწყებაში დაგეხმარებათ. ივნისში მივლინებაში გაემგზავრებით, სექტემბერი კი, ენერგიის აღსადგენად გამოიყენეთ. ყურადღება მიაქციეთ საკუთარ ჯანმრთელობას, რადგან გადაღლა კონცენტრაციას დაგაკარგვინებთ, უყურადღებობა კი, იურიდიული პრობლემების მიზეზი გახდება. ნუ იტყვით უარს წვეულებაზე მიპატიჟებაზე, რადგან მეგობრული ურთიერთობა თავისუფლად შეიძლება გადაიზარდოს რომანტიკულში.

* მამალი, 1921, 1933, 1945, 1957, 1969, 1981, 1993, 2005, 2017
წლის ფერი-თილისმა - ლურჯი, მწვანე

აქტიური წლის შემდეგ, ეცადეთ ცოტა დაისვენოთ, გადახედოთ შესრულებულ საქმეებს და თავიდან განსაზღვროთ პრიორიტეტები. შეეცადათ იაზროვნოთ სიღრმედ, დაეყრდენით ლოგიკას და არა ემოციებს. ისწავლეთ უარის თქმა, რადგან ყველა შეთავაზება ნამდვილად არ იქნება სარგებლის მომტანი. მოერიდეთ იმპულსურ და გაუაზრებელ მოქმედებებს. გაზაფხული – საუკეთესო პერიოდია ძველ პარტნიორთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად, წლის ბოლო სამი თვე კი – იდეალური დროა ახალი რომანტიკული თავგადასავლების დასაწყებად.

* ძაღლი, 1922, 1934, 1946, 1958, 1970, 1982, 1994, 2006, 2018
წლის ფერი-თილისმა - წითელი, მწვანე, ცისფერი

ბოლო თვეების დაძაბულობას პოზიტივი და ახალი ფანტაზიები ჩაანაცვლებს. რა თქმა უნდა, წელიწადი უამრავ საინტერესო სიურპრიზს გიმზადებთ. საუკეთესო თვისებების – გამბედაობისა და შეუპოვრების გამოყენებით შეძლებთ ყველაზე თამამი ამბიციების, მათ შორის ფინანსური სურვილების დაკმაყოფილებას. აპრილსა და ივნისში სწორად გადაანაწილეთ ხარჯები, წვრილმანები მოგვიანებით შეიძინეთ, მანამდე კი ყურადღება მომგებიან ინვესტიციებზე გაამახვილეთ. არაა გამორიცხული გაემგზავროთ შორეულ მოგზაურობაში, სადაც ახალ პარტნიორს შეიძენთ. ზაფხულში დაისვენეთ, მიიღეთ მიწვევა ნებისმიერ კონცერტზე, წვეულებასა და დღესასწაულზე.

* ღორი, 1923, 1935, 1947, 1959, 1971, 1983, 1995, 2007, 2019
წლის ფერი-თილისმა -მწვანე

ძაღლის წელიწადში ძალიან გამოგადგებათ თქვენი საუკეთესო თვისებები – დამოუკიდებლობის და თავისუფლების სიყვარული, ენერგიული ოპტიმიზმი და მშვიდი თვითრწმენა. შეძლებთ ადამიანებთან საერთო ენის გამონახვას, საკუთარი იდეებით დაინტერესებას და მათი მხარდაჭერის მიღებას. ენდეთ გამოცდილი ადამიანების რჩევას, გამოიყენეთ მათი დახმარება საქმეებსა და პირად ცხოვრებაში. ყურადღებით შეაფასეთ ნებისმიერი სიტუაცია, ნუ დათანხმდებით შეთავაზებას, სანამ არ გაეცნობით სრულ ინფორმაციას. მაისი – საუკეთესო თვეა რომანტიკული თავგადასავლების დასაწყებად, ზაფხულში კი, არაა გამორიცხული რომანი გააჩაღოთ უცხოელთან.

საოჯახო თემი ძველ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე და მნიშვნელოვანი ერთობა

(ჩვენი თანამემამულის - ეთნოგრაფ ნიკოლოზ აბაზაძის ერთი რეფერატის შესახებ)

საოჯახო თემი ძველ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე და მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ერთობა იყო. თუ უფრო ღრმად ჩავწვდებით ამ ერთობის წევრთა ფუნქციებს, უფლება-მოვალეობებს, ჩვენს თვალწინ დემოკრატიული ინსტიტუცია აღმოჩნდება. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, კონსერვატიული საზოგადოებისთვის დემოკრატიული ფასეულობები უცხო არ ყოფილა. სწორედ ამის დასტური და ერთგვარი მოკლე ექსკურსიაა ქართველი ეთნოგრაფისა და სამართალმცოდნის - ნიკოლოზ აბაზაძის (1863-1931) რეფერატი „ქართული საოჯახო თემი“. 1885 წლიდან ნიკოლიზ აბაზაძე მოსკოვში სწავლობდა, სადაც რუსეთის იმპერიაში იმ დროს მეტად პოპულარული მიმართულებით - „ანთროპოლოგიითა“ და „ეთნოგრაფიით“ დაინტერესებულა. 1889 წელს კი მისი ერთ-ერთი საინტერესო სტუდენტური რეფერატი გამოქვეყნდა „ეთნოგრაფიულ მიმოხილვაში“, მესამე ნომერში, გვ. 200-201.

ნიკოლოზ აბაზაძის არქივში მისივე ავტობიოგრაფიაც შედის და ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში ინახება. ამ მასალებზე დაყრდნობით, მუზეუმის ფონდების მცველი, ისტორიკოსი მზია ლობჟანიძე აღნიშნავს, რომ ნიკოლოზ აბაზაძის მიერ, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოებისთვის მომზადებულ მოხსენებას ,,ფურორი მოუხდენია მეცნიერულ საზოგადოებასა და სტუდენტებს შორის. დიდი საქებარი გამოხმაურებები დაიბეჭდა ამ გამოკვლევის თაობაზე გაზეთებში: „Русские ведомости“, „Московский листок“, ჟურნალში „რუსული აზრი“ და სხვა გამოცემებში“. არსებობს თუ არა ამ რეფერატის უფრო ვრცელი ვერსია, ჩვენთვის უცნობია, სამაგიეროდ „Этнографическое обозрение”-ში გამოქვეყნებული გვერდნახევრიანი რეფერატიც ძალზედ საინტერესო და საგულისხმო ცნობებს იძლევა ქართლის საოჯახო თემის შესახებ.

„ავტორმა ცნობები 1888 წელს შეკრიბა. ეს ცნობები შეკრებილია გორში, თბილისის გუბერნიაში (ქართლში)“ -ასე იწყება რეფერატი და იგი სწორედ, რომ ქართლის საოჯახო თემის კვლევისთვის წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს. როგორც ამავე რეფერატშია აღნიშნული, „დიდი ქართული ოჯახი შენარჩუნებულია მხოლოდ ქრისტიანებში და აქაც ბოლო დღეებს ითვლის“. მართლაც, თანამედროვე ეპოქაში მსგავსი საოჯახო სტრუქტურა, უფლება-მოვალეობების მკაცრად განაწილებული ფორმები არ გვხვდება, თუმცა, თანამედროვე ეთნოლოგიური მასალების საფუძველზე, მეტ-ნაკლები სიზუსტით შეგვიძლია წარსულის საოჯახო თემის არსის წარმოჩენა.

სტატიაში კიდევ რამდენიმე საინტერესო პასაჟია, რომლის ახსნასაც ქართლის სოფლებში დღემდე შემორჩენილი ემპირიული მასალით შევეცდებით. როგორც ნიკოლოზ აბაზაძე აღწერს, საოჯახო თემში კაცებიდან ირჩევა „უფროსი კაცი“, ხოლო ქალებიდან „უფროსი ქალი“, ხოლო „არჩევნების შემდეგ ოჯახი არჩეულის სახელს ატარებს“. ქართლის სოფლებში თანამედროვე დრომდე შემორჩენილია მიკროტოპონიმები, რომლითაც ეს უკანასკნელი ფრაზა შეგვიძლია ქართლში, ჭერათხევის ხეობაში არსებული სოფელ დუმაცხოვის მაგალითით ავხსნათ. ამ სოფელში, ისევე როგორც ქართლის სხვა სოფლებშიც, აღსანიშნავია ამა თუ იმ ოჯახის უფროსი წევრის სახელის უბნის სახელწოდებად გადაქცევა. ასე მაგალითად: „ეფენდიანთი“, ნიკალაანთი“, „ანდროანთი“ და სხვა. „ანთი“ სუფიქსის დართვით მოიხსენიებიან კონკრეტული პიროვნების შვილები, შვილიშვილები და სხვა შთამომავლები, ვიდრე მისი ხსომა არ დაიკარგება და ოჯახის კიდევ ერთი უფროსი წევრის სახელი არ დამკვიდრდება „ანთი“ სუფიქსის დართვით. ამის გამო, დღემდე სოფლის მცხოვრებნი ადგილსამყოფელის აღსანიშნავად უკვე მიკროტოპონიმებად ქცეულ ტერმინებს იყენებენ: „ანდროანთებში მივდივარ“, „ნიკალაანთებში რა ხდება?“ და ა.შ.

ქართული საოჯახო თემი. ნიკოლოზ ლევანის ძე აბაზაძე. ეთნოგრაფიული მიმოხილვა. 1889; წ.

ავტორმა ცნობები 1888 წელს შეკრიბა. ეს ცნობები შეკრებილია გორში, თბილისის გუბერნიაში (ქართლში). დიდი ქართული ოჯახი შენარჩუნებულია მხოლოდ ქრისტიანებში და აქაც ბოლო დღეებს ითვლის. ოჯახი აერთიანებს სისხლით ნათესავებს, ოჯახის წევრებს, თუმცა არსებობს შვილად აყვანაც. თანამედროვე ოჯახში ზოგჯერ ცხოვრობს სიძე, რომელიც მიღებულია როგორც ვაჟიშვილი. ოჯახის წევრების რიცხვი აღწევს 30, 50-დან 100-მდე.

ოჯახი იყოფა ორ ნაწილად - ქალის და კაცის. თითოეული მხრიდან ირჩევა ერთი უფროსი კაცი. ის საზოგადოებაში ოჯახის წარმომადგენლად არის მიჩნეული. ხოლო ქალებიდან ირჩევა უფროსი ქალი, რომელიც საშინაო საქმეებს უძღვება, ზრუნავს სახლში წესრიგზე. ისინი ირჩევიან პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე , ასაკსა და გარეგნობას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. არჩეულის გადაყენება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ის ბოროტად გამოიყენებს თავის უფლება-მოვალეობებს. არჩეულს უსიტყვოდ უნდა ემორჩილებოდეს ოჯახის ყველა წევრი. არჩევნების შემდეგ ოჯახი არჩეულის სახელს ატარებს. მთელი ქონება ითვლება ოჯახის საკუთრებად, ხოლო გამონაკლისია მზითვები. ის ეკუთვნის ქალს და მასში ჩარევის უფლება არც ქმარს აქვს და არც ოჯახის დანარჩენ წევრებს. მაგრამ თუ მზითვებში არის პირუტყვი, მაშინ მისი ნახევარი სარგებელი ეკუთვნის ქალს, ხოლო ნახევარი ოჯახის დანარჩენ წევრებს. ქალებს ეკუთვნით ასევე სამასწავლებლო, საადმზრდელო ფული (საოსტატო). თუ ქალი მოსწავლედ იყვანს ბავშვს სხვა ოჯახიდან, ის იღებს კუთვნილ ანაზღაურებას მოსწავლის ოჯახიდან.

საოჯახო სამართლიანობისათვის, ოჯახში მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებები რიგრიგობით კმაყოფილდება. მაგალითად, როდესაც ოჯახის ერთი წევრი მიიღებს (შეიძენს) კაბას, შემდეგში კაბის მიღებამდე (შეძენამდე) ოჯახის დანარჩენმა წევრებმაც უნდა მიიღონ (შეიძინონ). მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლება ახალი კაბის მიღება. ოჯახის წევრები დადიან საეკლესიო დღესასწაულებზეც. ოჯახის თავი ოჯახის თითოეულ წევრზე ანაწილებს კუთვნილ მოვალეობას. ყოველი საქმიანობიდან შემოსული თანხა ოჯახის სალაროში შედის. ის იხარჯება საოჯახო მოთხოვნილებების მიხედვით. ყველა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით ოჯახის თავი ეთათბირება დანარჩენ ოჯახის წევრებს. ოჯახის თავია წარმოდგენილი, როგორც სასამართლოში, ასევე ეკლესიაში, საზოგადოებაში და სახელმწიფოს წინაშე. სასამართლო ძალაუფლება მას ოჯახის დანარჩენ წევრებზე არ აქვს.

უფროს ქალს საშინაო საქმეების მოწესრიგება ევალება, ასევე სახლის საქმეების განაწილება ქალებს შორის. მისი მოვალეობაა მათ საქციელზე დაკვირვება. საოჯახო სალაროზე ხელი მასაც მიუწვდება, რადგან ის უზრუნველჰყოფს პროდუქტების მომარაგებას, ასევე აკონტროლებს სამზარეულოს. მისი მეთვალყურეობის ქვეშაა ოჯახის საყოლიებლების, შინაური ფრინველების და წვრილფეხა პირუტყვის მოვლაზე მეთვალყურეობა. ასევე მას სხვა მრავალი უფლება-მოვალეობა აქვს. სასამართლო უფლება ოჯახის სხვა წევრებზე არც მას აქვს. ის განაგებს ქათმებისგან, თავლისგან შემოსულ, აგრეთვე კერვისა და ქსოვისგან, პურის და ორცხობილის გაყიდვით შემოსულ სარგებელს. ეს ფული შედის საერთო ხაზინაში, მაგრამ უფროს ქალს აქვს უფლება დახარჯოს იგი ქალბატონებისთვის აუცილებელი საჭიროებებისთვის, პირადი ნივთებისთვის, აგრეთვე ქალის განათლებისთვის. ოჯახის უხუცეს წევრებს თავისი კონკრეტული, დაფასებული ადგილი აქვთ. მათ სიტყვას დიდი ძალა აქვს ოჯახში და გადაწყვეტილებების მიღებაზე დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ. მიუხედავად ასეთი დაფასებისა, ისინი მაინც იღებენ მონაწილეობას ყველა საქმიანობაში, როგორც ოჯახის დანარჩენი წევრები.

გიორგი ჩუბინიძე,
ნანა მელაძე,
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის (ფაკულტეტის) ისტორიის მიმართულების სტუდენტები



სურათზე: ნიკოლოზ აბაზაძე; ურთხვის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომლის ეზოშიც დაკრძალულია ნიკოლოზ აბაზაძე.

ლაპლანდია: ზღაპრული მოგზაურობა სანტა კლაუსის სამყაროში

ლაპლანდია – ზღაპრული პროვინცია, ფანტასტიური ბუნებითა და უნიკალური კულტურით – ფინეთის ტერიტორიაზეა განლაგებული.

ამ ადგილებში, თავისი პირველყოფილი ბუნებით – ტყეებითა და მთებით, უამრავი მდინარითა და ტბით, სუფთა ჰაერით, პოლარული ღამით, ყოველ ახალ წელს უამრავი ტურისტი ჩამოდის, რომლებიც ოცნებობენ ადგილობრივი სილამაზით დატკბობაზე და ბავშვობის შორეულ ზღაპარში აღმოჩენაზე.

ბავშვებისთვის კი ეს გახლავთ საშუალება, ცოცხლად იხილონ ჰანს ქრისტიან ანდერსენისა და შვედი მწერლის – სელმა ლაგერლეფის წიგნებში აღწერილი ადგილები.

მოგზაურობას როვანიემიდან ვიწყებთ

როვანიემის ისტორია მე-15 საუკუნეში იწყება. ეს ჩრდილოეთის ქალაქი პოლარული წრიდან 8 კილომეტრში და ჰელსინკიდან 800 კილომეტრში მდებარეობს.

გასაკვირი არ არის, რომ ზამთარში როვანიემი ლაპლანდიის ყველაზე საყვარელი კურორტი ხდება დიდებისთვის და პატარებისთვის – სწორედ აქ ატარებს უდიდეს დროს საშობაო სამზადისში ყველასათვის საყვარელი საახალწლო პერსონაჟი სანტა

კლაუსი (ფინურად – იოულუპუკი). სწორედ აქ, ქალაქიდან რამდენიმე კილომეტრში მდებარეობს სანტა კლაუსის ცნობილი სოფელი.

სანტა კლაუსის სოფელი ლაპლანდიაში

სანტა კლაუსის წარმოშობის ისტორია წმინდა ნიკოლოზს უკავშირდება. ეს ქრისტიანი წმინდანი სიცოცხლეში მალულად ეხმარებოდა უპოვრებსა და ბავშვებს. წმინდა ნიკოლოზის დღეს საჩუქრების დარიგების ტრადიცია მოგვიანებით საშობაოდ ბავშვების დასაჩუქრების ტრადიციად ტრანსფორმირდა. ამას კი დიდი სიამოვნებით აკეთებს თანამედროვე სანტა კლაუსი.

ლეგენდის თანახმად, სანტას საიდუმლო საცხოვრებელი და სახელოსნო, სადაც საშობაო საჩუქრები მზადდება, მდებარეობს მთა კორვატუნტურიზე. მაგრამ, ვინაიდან საიდუმლო ადგილსამყოფელის შესახებ ხმა დაირხა, სანტამ გადაწყვიტა ხალხში გამოცხადებულიყო და საამისოდ პოლარულ წრეზე, როვანიემისთან მახლობლად შეარჩია ადგილი.

აქ, ლაპლანდიის პატარა სოფელში, სანტამ დააფუძნა თავისი რეზიდენცია, რომელიც ახლა მთელ მსოფლიოშია ცნობილი. სანტა კლაუსი აქ ყოველდღე მოდის, იღებს სტუმრებს, კითხულობს წერილებს (რომლების გაგზავნაც შესაძლებელია მისამართზე: Santa Klaus, 96930 Arctic Circle, Rovaniemi, Finland), და იგებს, თუ რაზე ოცნებობენ ბავშვები და როგორი საჩუქრების მიღება სურთ საშობაოდ.

სანტა კლაუსის სოფელში, გარდა სანტას ოფისისა და ფოსტისა, განთავსებულია ტურისტული კოტეჯები, უამრავი მაღაზია და რესტორანი, ირმების ფერმა. ზამთარში, სოფლის მოედანზე უამრავ გორაკებს აგებენ, საიდანაც სრიალი უფასოა. სოფლის ცენტრში დიდი ნაძვის ხე დგას, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების დროშებით რთავენ. ირგვლივ ყველაფერი ბრწყინავს და სადღესასწაულო ატმოსფეროა შექმნილი.

სანტა კლაუსის ოფისი - სოფლის მთავარი ღირსშესანიშნაობა

კაბინეტში მოხვედრა ოფისის გრძელი დერეფნის გავლით არის შესაძლებელი, სადაც სანტა და მისი უცვლელი დამხმარეები – გნომები – სიხარულით იღებენ სტუმრებს. ვიზიტისთვის განკუთვნილ დროში უნდა ეცადო მოუთხრო სანტას, თუ რა არის შენს ცხოვრებაში უმთავრესი, ჩაიფიქრო სურვილი და მოკალათდე მის გვერდით.

მასთან ურთიერთობა რთული სულაც არ არის, რადგან სანტამ უამრავი უცხო ენა იცის. კარგ და დამჯერე ბავშვებს სანტა ასაჩუქრებს.

სანტა კლაუსის ფოსტა

ეს გახლავთ ადგილი, რომელსაც აუცილებლად უნდა ეწვიო სანტა კლაუსის ოფისის სტუმრობის შემდეგ. აქ შეგიძლია შეუკვეთო წერილი სანტასგან მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. წერილის შედგენასა და გაგზავნაში მხიარული ელფები დაგეხმარებიან. აქვე იღებენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ბავშვების წერილებს და შემდეგ გადასცემენ სანტას.

საინტერესო სტატისტიკა: 1980 წლიდან სანტა კლაუსმა 16 მილიონზე მეტი წერილი მიიღო.

ფოსტა, ისევე როგორც სანტას ოფისი, მთელი წლის განმავლობაში მუშაობს.

სოფელში კიდევ ერთი ღირსშესანიშნაობაა, რომელსაც საინტერესო რიტუალი უკავშირდება: ეს გახლავთ პოლარული წრის გეოგრაფიული და ამავდროულად ზღაპრული საზღვრის კვეთა, რომელიც თეთრი ველით არის გამოსახული და დატანებულია წარწერა " Arctic Circle".

ყველაზე გამბედავებს, ანუ ვინც ამ საზღვარს გადაკვეთს, ელის სამახსოვრო სერთიფიკატის საზეიმო გადაცემის ცერემონიალი.

სანტა-პარკი - ელფების ჯადოსნური გამოქვაბული

სოფლის მახლობლად სანტას მიწისქვეშა პარკი მდებარეობს, რომელშიც მხიარული ელფები ბინადრობენ. ეს გახლავთ გვირაბებისგან შემდგარი ნაგებობა, რომელიც პირდაპირ კლდეშია გამოჭრილი.

სანტა-პარკში თავგადასავლები და მრავალფეროვანი გართობა თითოეულ სტუმარს ელის. განსაკუთრებით, ბავშვები მხიარულობენ აქ. ელფების სკოლაში შეგიძლია დაეუფლო სხვადასხვა ელფურ სიბრძნეებს, ისწავლო საშობაო ღია ბარათების ლამაზი კალიგრაფიით წარწერა.

ყველაზე გამორჩეულ "მოსწავლეებს" კი ახალგაზრდა ელფის კურსდამთავრებულის დიპლომს გადასცემენ.

მისის კლაუსის საკონდიტროსა და სამზარეულოში არამხოლოდ დააგემოვნებთ, არამედ, თავადაც ისწავლით ჯანჯაფილის თაფლაკვერების ცხობას.

ყინულის პრინცესის სამეფო კი გაგაოცებთ ჩრდილოეთის ცხოველებისა და ზღაპრული პერსონაჟების სკულპტურებით ყინულის გალერეაში.

ასევე, ელფები მოგიწყობენ მხიარულ მოგზაურობას მაგიური მატარებლით, რომელსაც "წელიწადის დროები" ეწოდება. ითამაშებთ ფიფქებით სავსე უზარმაზარ ბურთში ან სათამაშო მოედანზე Angry Birds.

ერთად ვიზეიმოთ ახალი წლის შემობრძანება

ძვირფასო მეგობრებო! უკვე რამდენიმე წელია ასეულობით ჩვენი თანამოქალაქე, ახალი წლის შემობრძანებას ხაშურის ცენტრში, ცენტრალურ მოედანზე მოწყობილ სცენასთანს ხვდება. ტრადიცია არც წელს დაირღვევა და ყველას გიწვევთ 10:30 საათიდან – პირველ საათამდე. თქვენს საახალწლო განწყობაზე იზრუნებენ ცნობილი მუსიკალური ჯგუფები და მომღერლები, ბავშვებისთვის კი თოვლის ბაბუა.

კონცერტს გრანდიოზული ფოერვერკი დაასრულებს.

გიწვევთ ყველას, ერთად შევეგებოთ 2018 წლის შემობრძანებას!

მუნიციპალიტეტის მერიის
განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.